ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01181503344**

თარიღი: **30.05.2018**

ადრესატი:
ნანა რიჟამაძე
პირადი ნომერი: 01036003402
მისამართი: თბილისი ზესტაფონის ქ. N 19 ბ. 2

ქალბატონო ნანა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01180591912-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო
სამსახურის უფროსის მოადგილე)

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-19/011805919I2-17

"28." 05. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში (სექტორი-ისანი), ჩეხოვის ქ. №28-30–ში (საკ. კოდი №01.17.01.115.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქციის (სასტუმროდ) – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №2764704 08.08.2016წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2826772 09.09.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში (სექტორი-ისანი), ჩეხოვის ქ. №28-30–ში (საკ. კოდი №01.17.01.115.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„D-A" ფასადზე: დამატებით მოწყობილია აირგამწოვი მილები. +0.00 ნიშნულზე შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე და გაზრდილია მათზე საპროექტო მოაჯირების სიმაღლე. „A-A" ღერძის გარეთ, შეცვლილია ღობის ფორმა, დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. სლაიდური ჭიშკრის ნაცვლად მოწყობილია ორფრთიანი და შეცვლილია მისი ფორმა.

„4-1" ფასადზე: ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების მდებარეობა და გაბარიტები. გაზრდილია საკომუნიკაციო შახტის სიმაღლე.

„A-D" ფასადზე: „A-A" ღერძის გასწვრივ დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი, ხოლო „A-A" ღერძის გარეთ შეცვლილია ჭიშკრის ნახატი. აივნის ფილები გასქელებულია მოპირკეთებით. -2.85 ნიშნულზე შემცირებულია ფანჯრების სიმაღლე. „B-C" მონაკვეთში ყრუ ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია კარი. აღნიშნულ კარზე შეცვლილია გისოსის ნახატი. +6.95 ნიშნულზე, „A-A" და „D-D" ღერძებთან გაზრდილია დეკორატიული კედლების სიმაღლე.

„1-4" ფასადზე: დამატებით მოწყობილია კონდიციონერები. შეცვლილია ვიტრაჟების მდებარეობა. -2.85 ნიშნულზე, ფანჯრის ღიობზე ჟალუზის ნაცვლად მოწყობილია გისოსი და კედელში ფიქსირდება აირგამწოვი მილი. +6.95 ნიშნულზე, ვიტრაჟებზე არ არის მოწყობილი „ცეცხლგამძლე ლითონის დახურული ჟალუზები". „3-3" ღერძთან, პარაპეტზე დამატებულია საკომუნიკაციო შახტები, რომლებიც შეფუთულია, ხოლო „4-4" ღერძთან გაზრდილია საკომუნიკაციო შახტის სიმაღლე.

ფასადებზე დამატებულია წყალშემკრები მილები. კედლების მცირე ნაწილზე შეცვლილია მოპირკეთების მასალა.

„A-A" ღერძის გარეთ, გარე კიბის ბაქნის ქვეშ დამატებით შექმნილია 3.5 მ სიმაღლის და 21 კვ.მ ფართის სივრცე, „A-D" ფასადის მხრიდან კარით. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია შიდა კიბის საფეხურების რაოდენობა და ფიქსირდება იატაკის დონეთა სხვაობები. +6.95 ნიშნულზე, კიბის უჯრედში დამატებულია იატაკის ფილა.

შეცვლილია გარე კიბის საფეხურების რაოდენობა. ასევე -2.85 ნიშნულის კიბეზე გაუქმებულია „ინვალიდების ეტლის გადამტანი პლატფორმა", ხოლო +0.00 ამსვლელ კიბეზე „ინვალიდების ეტლის გადამტანი პლატფორმის" ნაცვლად მოწყობილია პანდუსი, რომლის ქანობიც არ შეესაბამება კანონით გათვალისწინებულს.

„A-D" ფასადის მხარეს, „A-A" ღერძის გასწვრივ დამატებით მოწყობილი კაპიტალური კედლის ნაწილი და ღობე ცდება საკადასტრო საზღვარს. ასევე დამატებით მოწყობილია ბაქანი, პანდუსი და ბოძკინტები, რომელთა ნაწილიც ცდება საკადასტრო საზღვარს.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. "ლამარია"-ს, ქ. თბილისში (სექტორი-ისანი), ჩეხოვის ქ. №28-30–ში (საკ. კოდი №01.17.01.115.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქციის (სასტუმროდ) – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01180591912-17 28.02.2018წ. განცხადება.
№წ-19/01180591912-17 02.03.2018წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე